

„მეგობართა წრის“ გავლენა სპეციალური საგანმანათლებლო
საჭიროების მქონე მოსწავლის რთულ ქცევაზე

თამარ ქიტესაშვილი ეკატერინე დარჩიაშვილი

*ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებისა და ხელოვნების
ფაკულტეტის სპეციალური განათლების პროგრამის მაგისტრის ხარისხის
მოსაპოვებლად წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომი*

კვლევის ხელმძღვანელი: ნინო გოგიჩაძე (ფსიქოლოგიის მაგისტრი)

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი 2017

განაცხადი

როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორები, ვაცხადებთ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩვენს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

თამარ ქიტესაშვილი

ეკატერინე დარჩიაშვილი

სარჩევი

<i>ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტის სპეციალური განათლების პროგრამის მაგისტრის ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომი</i>		1
1. აბსტრაქტი		4
Abstract		5
2. შესავალი		6
3. ლიტერატურის მიმოხილვა		7
4. საკითხის აქტუალობა		20
5. საკვლევი საკითხი		21
5.1. კვლევის მიზანი		22
6. კვლევის მეთოდოლოგია		23
6.1 თვისებრივი მეთოდები		23
6.2 რაოდენობრივი კვლევა		24
6.3 კვლევის შეზღუდვები		25
6.4 ეთიკური მოსაზრებები		27
6.5 ქეისის შერჩევა		27
7. შემთხვევა		28
7.1 სკოლა		28
7.2 ფოკუს მოსწავლე		29
8. მონაცემთა ანალიზი		32
8.1 „მეგობართა წრე“ (კვლევის ეტაპები)		32
8.2 აღწერითი დაკვირვებების შედეგები		36
8.3 ფოკუსირებული ქცევები		38
8.4 ექსპერიმენტის დამაბრკოლებელი ფაქტორები		42
8.5 არასასურველი ქცევების დამატებითი ინტერვენცია		45
8.6 ექსპერიმენტის შეწყვეტა		47
8.7 შედეგები		48
9. დასკვნა და რეკომენდაციები		51
10.1 რეკომენდაციების სახით		53

11.გამოყენებული ლიტერატურა	55
დანართი	57
ვ. შემაჯამებელი ინტერვიუ მასწავლებლებთან	59
გ. ინტერვიუ მშობლებთან	60
დ. მშობლის კითხვარი	61
ე.პოსტ ტესტი	62
ბ.ინფორმაციული თანხმობის წერილი მშობლებისთვის	63
დაკვირვების ოქმები	64

ცხრილები და გრაფიკები

გრაფიკი 1	37	გრაფიკი 6	47
გრაფიკი 2	39	შედეგების ცხრილი	48
გრაფიკი 7	41	მოსწავლეთა დასწრების ცხრილი.....	43
გრაფიკი 4	43	პოსტ ტესტის შედეგები	48
გრაფიკი 5	46	გრაფიკი 8	42

1. აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომში წარმოდგენილია კვლევის ანგარიში პროექტ „მეგობართა წრის“ განხორციელების შესახებ თბილისის ერთ-ერთ საჯარო სკოლაში. მოცემული კვლევის ფარგლებში “მეგობართა წრე” წარმოადგენს ერთგვარ ექსპერიმენტული სახის მიდგომას სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების/შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეებსა და ტიპური განვითარების მქონე თანაკლასელთა პოზიტიური ურთიერთდამოკიდებულებების ჩამოყალიბებისთვის.

საკითხის სიღრმისეული შესწავლისთვის გამოვიყენეთ შერეული კვლევის მეთოდები და ნაშრომში ასახულია ჩვენს მიერ კვლევის შედეგად მიღებულ დასკვნები.

კვლევაში წარმოდგენილია ლიტერატურის მიმოხილვა საკვლევი საკითხის ირგვლივ, ვითვალისწინებთ რომ პროექტი „მეგობართა წრე“ ფართო საზოგადოებისთვის უცნობია და ვრცლადაა მიმოხილული მის შესახებ საზღვარგარეთ, კონკრეტულად დიდ ბრიტანეთსა და კანადაში არსებული ლიტერატურა.

ნაშრომში წარმოდგენილია კვლევის ჩატარების პროცესში არსებული სირთულეების შესახებ, რამაც ხელი შეგვიშალა ექსპერიმენტული მეთოდის სრულფასოვნად განხორციელებაში.

და ბოლოს, მიღებული დასკვნები და რეკომენდაციები „ვფიქრობთ, საინტერესო აღმოჩნდება საგანმანათლებლო სისტემისათვის, რადგან საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროდან მოპოვებული ინფორმაციით მსგავსი პროექტი რომელიც სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლისა და ტიპური განვითარების მქონე მოსწავლეთა ურთიერთობების ჩამოყალიბებისთვისაა შექმნილი, არ არსებობს.

Abstract

The present report represents a research report about the project of the Circle of Friends in one of the public schools of Tbilisi. Given within the scope of the study the Circle of Friends is a kind of experimental approach to the students with special educational needs/children with disabilities and the classmates who have a typical development for the positive establishment of interdependence.

For the in-depth study of the issue we used mixed research methods and the work outlines the conclusions made by our research.

The study provides a review of the literature around of the issue, considering that the project of the Circle of Friends is unknown to the public society, and it is widespread and thoroughly overviewed in abroad, specifically in Great Britain and Canada literature.

The study presents about the difficulties we came across in the process of the research, which hindered us to implement the experimental method with a high quality.

Finally, we think that the conclusions and recommendations, which are obtained by our research, turn out to be an interesting thing for the educational system, because with the information, which is obtained from the Ministry of Education and Science of Georgia, a similar project, which is created to establish the interrelation among the students with special educational needs and the students with a typical development, does not exist.